

შპს „ინტერბიზნესის“ კოლეჯის უსაფრთხოების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

შპს „ინტერბიზნესის კოლეჯის“ (შემდგომში-კოლეჯი) უსაფრთხოების წესი (შემდგომში - წესი), განსაზღვრავს და არეგულირებს კოლეჯში უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცედურებს.

მუხლი 2. უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმები

1. კოლეჯი დაცვის სამსახურის მეშვეობით უზრუნველყოფს:

ა. კოლეჯის კუთვნილი ქონების დაცვას;

ბ. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფას;

გ. სამედიცინო დახმარების აღმოჩენას კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის, რომელიც საჭიროებს აღნიშნულ დახმარებას.

დ. კოლეჯის შენობა-ნაგებობაში უნარშეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების დახმარებას გადაადგილების დროს (ასეთების არსებობის შემთხვევაში);

მუხლი 3. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

1. კოლეჯში ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრული არის საევაკუაციო გეგმა, ევაკუაციის პროცედურები, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება.

2. კოლეჯი აღჭურვილია შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, ცეცხლმაქრობით, რომელიც განათავსებულია კიბის უჯრედებთან და მისი გამოყენების ინსტრუქცია გამოკრულია აღნიშნულ ინვენტართან და ახსნილია კოლეჯის სტუდენტებისა და პერსონალისათვის.
3. საგანგებო ვითარების დროს საჭიროების შემთხვევაში, დაცვის სამსახური უკავშირდება შესაბამის უწყებებს (სასწარაფო, სახანძრო, პატრული და ა.შ).

მუხლი 4. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა

1. კოლეჯში არსებობს სპეციალური ყუთი, სადაც განთავსებულია პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტები, რომელიც ინახება დაცვის სამსახურის ოთახში და ამის შესახებ ინფორმირებულნი არიან სტუდენტები და პერსონალი.
2. ისეთი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საჭიროებისას, რომლის კომპეტენცია არ აქვს კოლეჯს, ოპერატიულად. გამოძახებული იქნება სასწარაფო დახმარება.
3. კოლეჯი იღებს ვალდებულებას მედიკამენტების ვარგისიანობაზე, ამისათვის მუდმივად ხდება არსებული და შესაძენი მედიკამენტების ვადის გადამოწმება და მხოლოდ გადამოწმების შემდეგ მათი გამოყენება.

მუხლი 5. გარდამავალი დებულებანი

1. კოლეჯს აქვს უფლება განახორციელოს ისეთი ქმედება უსაფრთხოების დასაცავად, რაც ამ წესით არ არის განსაზღვრული, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და დამდგარ ფაქტობრივ მდგომარეობას, რომლის გამოც საჭირო გახდება ასეთი წესების გამოყენება.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებანი

1. ამ წესს ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
2. ამ წესსში ცვლილებების და/ან დამატებების შეტან ხდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.